ნახატი გ. იაშვილისა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по делам физической культуры и спорта при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского Совета профсоюзов

გამოცემის მე-8 წელი

№ 16 (511) კვირა, 24 თებერვალი, 1952 წ. ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუმარჯოს ჩვენი სამშობლოს მშვიდობიანი შრომისა და უშიშროების ერთგულ გუშაგებს — გმირულ საბჭოთა არმიას და სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
სსრ კავშირის სამხედრო მინისტრისა
№ 15

1952 წლის 23 თებერვალი — ქალაქი მოსკოვი

ამხანაგო ჯარისკაცებო და სერჟანტებო!

ამხანაგო ოფიცრებო და გენერლებო!

დღეს საბჭოთა ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები აღნიშნავენ საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს.

მოგესალმებით და მოგილოცავთ ჩვენი შეიარაღებული ძალების 34-ე წლისთავს!

ვუსურვებ საბჭოთა არმიის მთელ პირად შემადგენლობას ახალ, უფრო მეტ წარმატებას სამხედრო და პოლიტიკური ცოდნის სრულყოფაში, ჯარების საბრძოლო მზადყოფნის შემდგომ ამაღლებაში და ჩვენი დიდი სამშობლოს სახელმწიფოებრივი ინტერესების დასაცავად თავიანთი სამხედრო მოვალეობის უმწიკვლოდ შესრულებაში.

საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 34-ე წლისთავის აღსანიშნავად ვბრძანებ:

დღეს, 23 თებერვალს, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში — მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქებში, აგრეთვე კალინინგრადში, ლვოვში, ხაბაროვსკში, ვლადივოსტოკსა და გმირ ქალაქებში: ლენინგრადში, სტალინგრადში, სევასტოპოლსა და ოდესაში მიცემულ იქნას სალუტი ოცი საარტილერიო ზალპით.

გაუმარჯოს საბჭოთა არმიას და სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

გაუმარჯოს გმირ საბჭოთა ხალხს და ჩვენს მძლავრ სამშობლოს!

გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის პარტიას—ჩვენი გამარჯვებების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

გაუმარჯოს დიდ ბელადსა და მასწავლებელს, გენიალურ მხედართმთავარს საბჭოთა კავშირის გენერალისიმუს ამხანაგ სტალინს!

სსრ კავშირის სამხედრო მინისტრი
საბჭოთა კავშირის მარშალი **ა. ვასილევსკი**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო მინისტრისა
№ 50

1952 წლის 23 თებერვალი — ქალაქი მოსკოვი

ამხანაგო მატროსებო და ჯარისკაცებო, ზემდეგებო და სერჟანტებო!

ამხანაგო ოფიცრებო, ადმირალებო და გენერლებო!

დღეს სამხედრო მეზღვაურები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად დღესასწაულობენ საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 34-ე წლისთავს.

ლენინ-სტალინის დიადი პარტიის მიერ შექმნილმა და გამოზრდილმა საბჭოთა არმიამ და სამხედრო-საზღვაო ფლოტმა გმირული საბრძოლო გზა განვლეს და თავი გამოიჩინეს სსრ კავშირის სახელმწიფოებრივი ინტერესების საიმედო დამცველებად. თავიანთ სახელოვან წლისთავს საბჭოთა არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი, რომლებსაც ხელმძღვანელობენ ბოლშევიკური პარტია, დიდი ბელადი და მასწავლებელი ამხანაგი სტალინი, ხვდებიან ახალი წარმატებებით საბრძოლო მომზადებაში, პირადი შემადგენლობის სამხედრო და პოლიტიკურ აღზრდაში.

სამხედრო-საზღვაო ძალების პირადი შემადგენლობა ვალდებულია კვლავაც დაუღალავად ამაღლოს საბრძოლო მზადყოფნა, ზარდოს კვალიფიციური სპეციალისტები, საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსნები, კიდევ უფრო განამტკიცოს თავიანთი რიგების სამხედრო დისციპლინა, სიფხიზლე და ორგანიზებულობა.

ამხანაგო მატროსებო და ჯარისკაცებო, ზემდეგებო და სერჟანტებო!

ამხანაგო ოფიცრებო, ადმირალებო და გენერლებო!

მოგესალმებით და მოგილოცავთ საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 34-ე წლისთავის დღესასწაულს და გისურვებთ ახალ, უფრო მეტ წარმატებებს საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში.

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ საბჭოთა სამშობლოს!

გაუმარჯოს გმირ საბჭოთა ხალხს და მის ძლევამოსილ არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიად პარტიას!

დიდება ჩვენს დიდ და ბრძენ ბელადსა და მხედართმთავარს ამხანაგ სტალინს!

სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო მინისტრი
ვიცე-ადმირალი **ნ. კუზნეცოვი**

სახელოვანი თარიღები

ორ შესანიშნავ წლისთავს აღნიშნავს ჩვენი ხალხი ამ დღეებში —გუშინ, 23 თებერვალს შესრულდა საბჭოთა არმიისა და ფლოტის 34-ე წლისთავი, ხოლო ხვალ—25 თებერვალს სრულდება 31-ე წლისთავი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან.

34 წლის წინათ, 1918 წლის 23 თებერვალს, დაუნდობელ და ვერაგ მტრებთან—გერმანელ იმპერიალისტებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ახალგაზრდა წითელმა არმიამ ნარვასა და პსკოვთან ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა,—სასტიკი დამარცხება აგემა მტერს. ეს დღე გადაიქცა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შეიარაღებულ ძალთა—საბჭოთა არმიის დაბადების დღედ.

34 წლის მანძილზე გმირული საბჭოთა არმია ერთგულად დარაჯობს ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს წმიდა საზღვრებს, ფხიზლად იცავს საბჭოთა ხალხის მშვიდობიან შემოქმედებით შრომას; 34 წლის მანძილზე ლეგენდარულმა საბჭოთა არმიამ მრავალი გამარჯვების ბრწყინვალე სტრიქონები ჩაწერა დედასამშობლოს მატიანეში. ყველა დროისა და ხალხების უდიდესი მხედართმთავრების — ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილმა საბჭოთა არმიამ—ახალი ტიპის არმიამ — თავისი დაარსების პირველივე დღეებიდან მიზნად დაისახა თავისი ხალხის სამსახური.

განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საბჭოთა არმიის გმირულ ისტორიაში საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. გენერალისიმუს სტალინის ხელმძღვანელობით საბჭოთა არმიამ არნახული გმირული ბრძოლების შემდეგ გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა ძლიერსა და ვერაგ მტერს,—ფაშისტური გერმანიის ბუნაგში — ბერლინში გამარჯვების წითელი დროშა ააფრიალა.

საბჭოთა არმია სახალხო არმიაა. ჩვენი ქვეყნის მშრომელებს უყვართ თავისი გმირული არმია. არსად, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არის ისეთი მჭიდრო კავშირი ხალხსა და არმიას შორის, როგორიც ჩვენშია.

„წითელი არმია არის ყველა ქვეყნის ხალხთა შორის მშვიდობიანობისა და მეგობრობის დაცვის არმია. იგი შექმნილია არა უცხო ქვეყნების დასაპყრობად, არამედ საბჭოთა ქვეყნის საზღვრების დასაცავად" (ი. სტალინი).

გამარჯვების სტალინური მეცნიერებით შეიარაღებული, თანამედროვე, უახლესი ტექნიკით აღჭურვილი საბჭოთა არმია უაღრესად კეთილშობილურ, ჰუმანურ და მშვიდობიან მიზნებს ემსახურება და სწორედ ესაა მისი უძლეველობის ურყევი საფუძველი.

უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში ეგებება ქართველი ხალხი თავის ეროვნულ დღესასწაულს — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 31-ე წლისთავს.

საკაცობრიო მნიშვნელობის ცვლილებები მოხდა 31 წლის მანძილზე საქართველოში. ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და პირადად მშობლიური სტალინის ყოველდღიური მზრუნველობის, ყურადღებისა და ხელმძღვანელობის შედეგად იგი გადაიქცა მოწინავე სოფლის მეურნეობისა და მძიმე ინდუსტრიის, მაღალი კულტურისა და მეცნიერების რესპუბლიკად. ლენინ-სტალინის დიადი დროშის ქვეშ მჭიდროდ დარაზმული ქართველი ხალხი, საბჭოთა ხალხის ძმურ ოჯახში, დაუღალავად იბრძვის ახალი გამარჯვებებისათვის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყოველ უბანზე, სტალინური მიზანდასახულობით მიემართება წინ —კომუნიზმის კაშკაშა მწვერვალისაკენ.

კომუნიზმის მშენებელთა რიგებში, დედასამშობლოს შემდგომი ძლიერების განმტკიცებისათვის მებრძოლთა ავანგარდში დგანან საქართველოს ფიზკულტურელები და სპორტსმენები, რომელთაც ენერგიული შემოქმედებითი შრომით საკოლმეურნეო მინდვრებსა და ქარხანა-ფაბრიკებში, ახალმშენებლობათა ხარაჩოებზე და ტრანსპორტზე თავიანთი წვლილი შეაქვთ კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში

ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები წარმატებით იცავენ საქართველოს სპორტულ ღირსებას საკავშირო სარბიელზე, საერთაშორისო შეხვედრებში.

ახალი მიღწევებით ხვდება ქართველი ხალხი ამ ორ შესანიშნავ თარიღს. ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და დიდი სტალინის ხელმძღვანელობით იგი ძალ-ღონის დაუზოგავად იბრძოლებს იმისათვის, რომ კიდევ უფრო აყვავდეს და გაძლიერდეს, გაიფურჩქნოს და გამდიდრდეს საყვარელი დედასამშობლო.

საწარმოთა ფიზკულტურელების საჩუქრები

სუხუმი. (ჩვენი საკ. კორ.). ახალი გამარჯვებებით ეგებებიან აფხაზეთის ფიზკულტურელები და სპორტსმენები საბჭოთა არმიის 34-ე წლისთავს და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 31-ე წლისთავს. ქალაქის საწარმოთა ფიზკულტურელები სადღესასწაულო სტახანოვურ ვახტზე დგანან და პირნათლად ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს.

სუხუმის სანავსადგურო მოწყობილობათა ქარხნის ელექტროშემდუღებელი, თანრიგოსანი მოცურავე ზ. კასიუგა ყოველდღიურ გეგმას 250-300 პროცენტით ანაღდებს. მას არც ახალგაზრდა ფეხბურთელი გ. ქირია ჩამორჩება — დღიურ დავალებას 280-300 პროცენტით ასრულებს. ასეთივე მიღწევებით ხვდება დღესასწაულს ქარხნის 75 ფიზკულტურელი.

სადღესასწაულო სოციალისტურ შეჯიბრებაში 1952 წლის დასაწყისშივე ჩაებნენ საკონდიტრო ფაბრიკის ფიზკულტურელები. საწარმოს საპატიო დაფას ამშვენებს ფაბრიკის საუკეთესო მოჭიდავე ქ. მაკალათიას, მძლეოსან ზ. თეგერაშვილის, ფეხბურთელების ო. რურუას, ა. გაგუასა და სხვათა ფოტოსურათები. გაგუამ და რურუამ იკისრეს 25 თებერვლისათვის შეასრულონ 3 თვის გეგმა.

საწარმოო საჩუქრებით ხვდებიან ამ ღირსსახსოვარ თარიღებს აგრეთვე ტყავფეხსაცმლის კომბინატის, თამბაქოს ფაბრიკის და სხვა საწარმოთა ფიზკულტურელები.

საბჭოთა მძლეოსნების მსოფლიო რეკორდების დამტკიცება

მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ მსოფლიო რეკორდებად დაამტკიცა 22 შედეგი, რომლებიც შარშან სხვადასხვა ქვეყნებში იქნა ნაჩვენები. დამტკიცებულ რეკორდებიდან 5 საბჭოთა სპორტსმენებს ეკუთვნით. ეს რეკორდებია: ი. მოსკაჩენკოვის (მოსკოვის „დინამო") 30.000 მეტრზე რბენაში— 1.38:54,0; სსრ კავშირის ქალთა გუნდის შედეგი ამანათრბენში 4×200 მ. — 1:39,7. ამ რეკორდო გარბენში მონაწილეობდნენ ნ. ხნიკინა (თბილისის „დინამო"), ე. სეჩენოვა, ს. მალშინა (მოსკოვის „დინამო") და ზ. საფრონოვა (ლენინგრადის „შრომითი რეზერვები"); ორი შედეგი 800 მეტრზე რბენაში — ვ. პომოგაევასი (მოსკოვის „დინამო") — 2:12,2 და ნ. პლეტნიოვასი (უკრაინა) — 2:12,0; ბადროს ტყორცნაში ნ. დუმბაძის (თბილისის „დინამო") შედეგი — 53,37 მეტრი.

ახალ მსოფლიო რეკორდებად აგრეთვე დამტკიცებულია შემდეგი შედეგები: 100 მ. რბენა ვაჟთა შორის —10,2 — მაკდონალდ ბეილი (ინგლისი); ემილ ზატოპეკის (ჩეხოსლოვაკია) რეკორდები რბენაში: 10 მილზე (16 კმ. 093 მ.) — 46:12,0, 15.000 მეტრზე — 44:54,6, 20.000 მეტრზე ჯერ 1.01:15,9 და შემდეგ 59:51,8, ერთსაათიან რბენაში ჯერ 19 კმ. 558 მ. და შემდეგ 20 კმ. 052 მ.; იუნგრენის (შვეცია) მიერ ნაჩვენები დრო — 4.32:52,0 50.000 მეტრზე სიარულში; და სილვას (ბრაზილია) შედეგი — 16,01 მეტრი სამმაგ ხტომაში; შ. ლერუელის (ინგლისი) შედეგი — 1,72 მეტრი გამორბენით სიმაღლეზე ხტომაში ქალთათვის.

რა გვიჩვენა 6 ქალაქის შეხვედრამ

6 ქალაქის შეხვედრა კალათბურთში რესპუბლიკის სპორტულ კალენდარში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიებაა. ტრადიციის მიხედვით ასპარეზობაში მონაწილეობა უნდა მიეღო 6 ქალაქის ნაკრებ კოლექტივს, მაგრამ, სამწუხაროდ, ქალთა შორის პირველობისათვის მხოლოდ 4 გუნდი იბრძოდა, — გაურკვეველი მიზეზებით შეჯიბრებას თავი აარიდეს სტალინირისა და გორის წარმომადგენლებმა.

როგორც ცნობილია, ასპარეზობაში დამსახურებული გამარჯვება მოიპოვეს თბილისის ვაჟთა და ქალთა გუნდებმა.

ვაჟთა ნაკრები დაკომპლექტებული იყო „დინამოსა“ და ოფიცერთა სახლის გუნდების წარმომადგენლებისაგან, რომლებიც ტექნიკურად და ტაქტიკურად გაცილებით მაღლა იდგნენ თავიანთ მეტოქეებზე.

ვაჟთა შორის მაღალი მომზადება და მაყურებელთა მოწონება დაიმსახურეს ქუთაისისა და ბათუმის კოლექტივებმა. განსაკუთრებით ქების ღირსია ქუთაისის გუნდი (მწვრთნელი სპორტის ოსტატი ს. თორთლაძე). სერიოზული სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის შედეგად გუნდის თამაშს შეემატა კომბინაციურობა, ფერიშის მიზანდასახულობა და კარგი ტექნიკური ხერხები. გუნდში გამოირჩევიან ახალგაზრდა ნიჭიერი კალათბურთელები კ. ჭიჭინაძე და ზ. ბუაძე.

გასულ წელთან შედარებით უკეთესად თამაშობს მე-4 ადგილზე გამოსული გორის კოლექტივი. გორელების დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს კოლექტიური თამაშის უგულებელყოფა. ამავე დროს, ისინი ზოგჯერ ვერ ამყოვნებდნენ მაღალ მორალურ ჩვეულებს, არ იგრძნობოდა ლტოლვა გამარჯვებისაკენ, ეროვნულისოდაც თანამედროვე კალათბურთში წარმატების მოპოვება თითქმის შეუძლებელია.

არასახარბიელო შთაბეჭდილება დატოვეს ფოთელმა კალათბურთელებმა მათ ძალიან დიდი მუშაობა ჰირდებათ თავიანთი ოსტატობის ასამაღლებლად.

გასული წლის ასპარეზობაში გამარჯვებულმა სუხუმის კოლექტივმა წელს უკანასკნელი, მე-6 ადგილი დიკავა. გუნდმა წაგო ყველა შეხვედრა. მარცხში, უპირველეს ყოვლისა, დამნაშავეა აფხაზეთის ფიზკულტურის კომიტეტი, რომელმაც გუნდი კალათბურთისათვის შემთხვევითი პირებით (!) დააკომპლექტა. კალათბურთის გუნდში თითქმის არ იყო არც ერთი კალათბურთელი! საინტერესოა, რას ფიქრობდა აფხაზეთის ფიზკულტურის კომიტეტი, როდესაც ასე უცნაურად და უპასუხისმგებლოდ აკომპლექტებდა გუნდს.

თბილისის ქალთა გუნდმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ რესპუბლიკის უძლიერესი კალათბურთელები, ასპარეზობა მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარა.

მეორე ადგილზე გამოვიდა ქუთაისელ ქალთა უდაოდ მზარდი კოლექტივი. ქუთაისელებმა შარშანდელთან შედარებით გაცილებით გააუმჯობესეს თამაშის ტექნიკა. კარგი შთაბეჭდილება დატოვა ბათუმის ქალთა კოლექტივმაც, რომელიც მთლიანად ახალგაზრდა მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული.

დაბალი შედეგებით აღინიშნა (ბოლო ადგილი) სუხუმის კალათბურთელთა გამოსვლა. მათ წააგეს ყველა შეხვედრა და ეს მაშინ, როდესაც შარშან ქალაქების მატჩში პირველი ადგილი დაიკავეს. ასეთი მარცხი სერიოზული საგანგაშო სიგნალია, რასაც დროულად უნდა მიექცეს ყურადღება აფხაზეთის ფიზკულტურის საოლქო კომიტეტმა. გაუგებარია ისიც, რომ სუხუმის ვაჟთა და ქალთა გუნდებში მწვრთნელის მოვალეობას ასრულებდა ფეხბურთელი შ. ლომინაძე.

შეჯიბრებამ გამოავლინა მთელი რიგი ნიჭიერი ახალგაზრდები: ქალთა შორის—მ. ყუფარაძე, ნ. ბექაია, ი. საკუნი (ქუთაისი), თ. ჭყონია, ნ. ჩიტაიშვილი, ფ. შეპილოვა (ბათუმი); ვაჟთა შორის — კ. ჭიჭინაძე, ზ. ბუაძე, ჯ. მერკვილაძე, ო. ჩაჩუა (ქუთაისი), რ. კაკაბაძე, ვ. ნოსნიკოვი, ე. პოტაპოვი (ბათუმი), ბ. შუბითიძე, ს. აკოფოვი (გორი) და სხვ.

ასპარეზობამ გვიჩვენა, რომ გუნდების უმრავლესობას ჯერ კიდევ კარგად არა აქვს დამუშავებული ბურთის შორი მანძილიდან კალათში ტყორცნა, საჯარიმო ტყორცნა და სხვ. ნაკლად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ არც ერთი გუნდის მიერ არ იყო გამოყენებული „ზონური დაცვის“ პრინციპი, რომელსაც დადებითი შედეგი მოაქვს ძლიერ მეტოქესთან დაცვის წარმოების დროს.

ჩვენის აზრით, კარგი იქნება, თუ 6 ქალაქის მომავალ მატჩში თბილისიდან მონაწილეობას მიიღებენ არა ოსტატები (როგორც ეს შეჯიბრებაში იყო), არამედ ქალაქის პირველობაში მე-3 ან მე-4 ადგილზე გამოსული გუნდები. ეს პირველი ადგილისათვის ბრძოლას საინტერესოს გახდის.

მსაჯთა კოლეგიამ (მთავარი მსაჯი გ. გუგუშვილი) შეჯიბრება მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარა.

ვ. ჯაფარიძე,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

გორი.

★

მოლოტოვში, ეგოშიხინის მთებზე, გაიხსნა სპორტსაზოგადოება „ტრაქტორის“ ახალი ტრამპლინი, რომელიც ერთ-ერთი უდიდესია საბჭოთა კავშირში. ტრამპლინს აქვს საჰაერო-ხაბაგირო გზა და ლიფტი. სურათზე: ტრამპლინის საერთო ხედი მისი გახსნის დღეს.

ფოტო პ. ლიხენკინისა (საკადესი).

★

თასი მფრინავებმა მოიპოვეს

მოსკოვი. (ჩვენი კორ.). დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშება შაიბიან ჰოკეიში. საპატიო ჯილდოსათვის ბრძოლის ნახევარფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა ჩვენი ქვეყნის ოთხმა უძლიერესმა კოლექტივმა — მოსკოვის ცდსა-მ, „კრილია სოვეტოვმა“, „დინამომ“ და ვვს-მა.

პირველ ნახევარფინალში ვვს-მა ანგარიშით 6:1 დაამარცხა „დინამო“, მეორე ნახევარფინალში — „კრილია სოვეტოვმა“ — ცდსა (4:1).

17 თებერვალს მოსკოვის „დინამოს“ სტადიონის ყინულის მოედანზე გაიმართა სსრ კავშირის თასის გათამაშების უკანასკნელი ეტაპი — ფინალი.

თამაში დაიწყო მფრინავთა შეტევით, რომლებმაც მალე გაიტანეს პირველი შაიბა, მაგრამ მე-15 წუთზე გურიშევი („კრილია სოვეტოვი“) ძლიერი დარტყმით ათანაბრებს ანგარიშს. შემდგომში, სამხედრო-საჰაერო ძალთა გუნდს კიდევ ერთი შაიბა გაავლე და პირველი პერიოდი მთავრდება ანგარიშით 2:1 ვვს-ის სასარგებლოდ.

მეორე პერიოდში ჯერ ბაბიჩი, ხოლო შემდეგ ბობროვი ზრდის ანრიშს. ბობროვი ისე ძლიერად ტყორცნის რეზინის სხმული შაიბას, რომ იგი იჭედება კარის ლითონის ბადეში! მეორე პერიოდი მთავრდება ანგარიშით 5:2, — წინ კვლავ მფრინავები არიან.

მესამე პეროიდში უპირატესობა „კრილია სოვეტოვის“ მხარეზეა, მაგრამ შეხვედრას იგებს სამხედრო-საჰაერო ძალთა გუნდი — 6:5.

ჩვენი ქვეყნის 1951-52 წლების ჩემპიონმა—მოსკოვის სამხედრო-საჰაერო ძალთა გუნდმა წელს პირველად მოიპოვა მეორე საპატიო ჯილდო—სსრ კავშირის თასი.

აჭარის მოთხილამურეთა ასპარეზობა

ხულო. (ჩვენი საკ. კორ.). ქედისა და ხულოს რაიონების და „დინამოს“ მოთხილამურეთა გუნდები სიმღერით აჰყვნენ სოფელ ქედლების თოვლით დაფარულ ფერდობებს და გააცოცხლეს მიდამო. ესენი იყვნენ აჭარის 1952 წლის პირველობის მონაწილენი სათხილამურო სპორტში.

შეჯიბრება დაიწყო 5 კილომეტრზე ქალთა რბენით. ამ სახეში პირველი ადგილი და აჭარის ჩემპიონის სახელი მოიპოვა ხულოელმა ა. აზარიანსკაიამ.

ვაჟთა რბენაში 18 კილომეტრზე პირველ წუთებიდანვე დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა ხულოელ ს. ჩანთაძესა და დინამოელ ი. ნეჩაევს შორის. ნახევარ დისტანციაზე ჩანთაძე ლიდერობდა, ხოლო შეჯიბრების უკანასკნელ ეტაპზე დინამოელმა უკან ჩამოიტოვა მეტოქე და გაიმარჯვა. მისი დროა 1.41:35.

დიდი ინტერესი გამოიწვია შეჯიბრებამ სწრაფდაშვებაში, რომელშიც ყველას ჯობს: ვაჟთა შორის — დინამოელმა ლ. მოისეევმა, ქალთა შორის — ა. აზარიანსკაიამ (მანვე გაიმარჯვა რბენაში 8 კილომეტრზე).

შეჯიბრების მეორე დღის პროგრამაში იყო ამანათრბენები, ქალთა რბენა 10 კილომეტრზე და სლალომი.

აჭარის ჩემპიონის სახელი ამანათრბენში 4×10 კმ მოიპოვა „დინამოს“ გუნდმა (4.32:21), ქალთა ამანათრბენში 4×5 კმ. გამარჯვება წილად ხვდა ხულოს გუნდს.

ქალთა შორის 10 კილომეტრზე პირველი იყო ქედელი ტ. ბერდნიკოვა — 1.26:18.

სამი დღის დაძაბული ბრძოლის შემდეგ გუნდური პირველობა მოიპოვეს ხულოს რაიონის „კოლმეურნის“ მოთხილამურეებმა მეორე ადგილზეა ქედის მოთხილამურეთა ნაკრები.

შეჯიბრებამ ცხადყო, რომ ქედის რაიონში სათხილამურო სპორტის განვითარების საქმეს სათანადო ყურადღება არ ექცევა. აქ შემთხვევითი ხასიათი აქვს მოთხილამურეთა წვრთნას. ამის გამო ქედელებმა დაწილი შედეგები აჩვენეს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბათუმის ფიზკულტურის კომიტეტმა ვერ უზრუნველყო შეჯიბრებაში მოთხილამურე სპორტსმენთა მონაწილეობა. ეს ერთ უნდა ითქვას „დინამოს“ მიმართაც, რომელმაც ვერ შეძლო ქალთა გუნდის გამოყვანა.

ვ. სახვაჩიძე

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

გაზეთ „ლელოს“ რედაქციაში შემოვიდა წერილი იმის შესახებ, რომ კაჩრეთის რაიონის სკოლებში მოუგვარებელია ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობა.

წერილი შესამოწმებლად და ზომების მისაღებად გადაეგზავნა კაჩრეთის რაიონის განათლების განყოფილებას. როგორც განათლების განყოფილების გამგე ამხ. ს. ანჯაფარიძე გვატყობინებს, განათლების განყოფილებამ საქართველოს აღკკ კაჩრეთის რაიკომთან ერთად შეისწავლა რაიონის სკოლებში ფიზკულტურული მუშაობის მდგომარეობა. წერილში აღნიშნული ფაქტები მთლიანად დადასტურდა.

სკოლებთან სპორტული მოედნების მოწყობის, ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის, ჭადრაკისა და სხვა სექციების მუშაობის გასაუმჯობესებლად მიღებულია საჭირო ღონისძიებანი.

რაიონის სკოლების დირექტორებსა და სასწავლო ნაწილის გამგეებს დაევალათ სისტემატურად შეამოწმონ ფიზკულტურის სწავლების მდგომარეობა, დახმარება აღმოუჩინონ ფიზკულტურის მასწავლებლებს მოსწავლე ახალგაზრდობაში ფიზკულტურული მუშაობის ფართოდ გასაშლელად.

რაიონის ახალგაზრდობაში ფიზკულტურული მუშაობის გაუმჯობესების შესახებ იმსჯელა აგრეთვე საქართველოს აღკკ კაჩრეთის რაიკომის VI პლენუმმა, რომელმაც დასახა ღონისძიებები არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ორგანიზებულად ჩავაგაროთ საანგარიშო-საარჩევნო კრებები

20 თებერვალს საქართველოს ფიზკულტურის კომიტეტში შედგა თათბირი, რომელიც მიეძღვნა თბილისის ფიზკულტურულ კოლექტივებში საანგარიშო-საარჩევნო კრებების მიმდინარეობის საკითხს. თათბირზე მოხსენებით გამოვიდა თბილისის ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის აღმსრულებელი ამხ. ვ. კინკაძე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქის ორგანიზაციების უმეტეს ნაწილში საანგარიშო-საარჩევნო კრებები დამთავრდა. მთელ რიგ კოლექტივებში კრებები ჩატარდა საქმიანი, პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით, დასახულ იქნა საინტერესო ღონისძიებები, წამოყენებულ და გადაჭრილ იქნა ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი.

ასე ჩატარდა კრებები ფეხსაცმლის მე-2 ფაბრიკაში, ფიზკულტურის ინსტიტუტში, არტელ „რემბუვში“, მე-3 საფერშლო სკოლაში, საავეჯო ფაბრიკაში, ტოპოგრაფიულ ტექნიკუმში, საფქვავ კომბინატში და სხვ.

მაგრამ თბილისის მთელ რიგ ორგანიზაციებში საანგარიშო-საარჩევნო კრებები ჩატარდა დაბალ დონეზე, ფორმალურად. ზოგიერთი დაწესებულების დირექციამ და ადმინისტრაციამ ფიზკულტურულ კოლექტივს არ დაეხმარა კრების ნორმალურად ჩატარებაში, არ დაინტერესდა ამ მნიშვნელოვანი ღონისძიებით.

ასეთ კოლექტივებში საანგარიშო-საარჩევნო კრება რამდენჯერმე იქნა მოწვეული და არ შედგა იმის გამო, რომ კრებას არ დესწრნენ ფიზკულტურელები. (!! ფაქტიც მრავალმეტყველად ახასიათებს ძირეული საბჭოს კოლექტივის მუშაობას). რამდენჯერმე იქნა გადატანილი კრება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, მე-13 ავტოსარემონტო ქარხანაში კრება 17 იანვრის ნაცვლად ჩატარდა 31 იანვარს, საპროტეზო ქარხანაში 15-ს ნაცვლად — 22 იანვარს. ლითონის კონსტრუქციების ქარხანაში 21-ს მაგივრად — 26 იანვარს და ა. შ.

იყო შემთხვევები, როდესაც ფიზკულტურული კოლექტივის საანგარიშო-საარჩევნო კრება გაიმართა მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე.

ცუდად ჩატარდა საბჭოს საანგარიშო-საარჩევნო კრებები „ლოკომოტივში“. სადგურ ნავთლუღის მთელ რიგ კოლექტივებში ანგარიშგება-არჩევნები მოეწყო კომკავშირულ-პროფკავშირულ საერთო კრებებზე და ეს საკითხი განხილულ იქნა, როგორც ერთ-ერთი მიმდინარე; ზოგან დამთვლელი კომისიის არჩევაც კი დაავიწყდათ (!).

თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ფიზკულტურული ორგანიზაცია დამოუკიდებელ რაიონულ საბჭოს წარმოადგენს. მოსალოდნელი იყო, რომ ასეთ მსხვილ, მოწინავე საწარმოში საანგარიშო-საარჩევნო კრება გაიმართებოდა მაღალ დონეზე, სანიმუშოდ. მაგრამ ეს ასე არ მოხდა: ელექტროშემდუღებელ საამქროში კრება ფორმალურად, ნაჩქარევად ჩატარდა. ასეთივე მდგომარეობა იყო სატვირთო ვაგონების საამქროში.

ქარხნის საბჭოს არ უმსჯელია საბოლოო ანგარიშგებაზე, არ დაუმტკიცებია იგი, არ დაუნიშნავს საამქროებში კრებების ჩატარების ვადები, ზერელედ იქნა გაფორმებული ოქმები.

კიდევ უფრო ცუდად მოეწყო საანგარიშო-საარჩევნო კრებები თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში.

აქ საანგარიშო-საარჩევნო კრებები ჩატარდა ტლანქი დამახინჯებებით. ფიზორგების არჩევნები გაიმართა სტუდენტთა სასწავლო ჯგუფების საერთო კრებებზე და სასვეთამაშორისო ხასიათი ჰქონდა. საბჭოს არ შეუმუშავებია კრებების გრაფიკი. საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ბელოკოსოვს თავისი ანგარიში არ განუხილავს საბჭოს სხდომაზე, არ აურჩევიათ დელეგატები და სამანდატო კომისია და ეს ყოველივე მაშინ, როდესაც ამ დიდ ორგანიზაციაში არის ფიზიკური აღზრდის კათედრა, არსებობს „ლოკომოტივის“ რაისაბჭო. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ საქმისათვის ინსტიტუტს მიამაგრეს ინსტრუქტორი მ. შიშოვი.

დამახინჯებით ჩატარდა საანგარიშო კრებები „პიშჩევიკის“ ზოგიერთ ძირეულ კოლექტივში. 10 კოლექტივში საბჭოს არჩევნები ჩატარდა... ღია კენჭისყრით. რამდენჯერმე იქნ, გადაწეული ჯრების ვადები აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკაში და სატრიკოტაჟო კომბინატში.

თბილისის გარეუბნის რაიონის „ეროფეის“ ორგანიზაციებში ეს მნიშვნელოვანი ღონისძიება ჩაშლის პირამდეა მიყვანილი.

უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის ფიზკულტურის კომიტეტმა, თუმცა დიდი მუშაობა გასწია ქალაქის ორგანიზაციებში ძირეული კოლექტივების საანგარიშო-საარჩევნო კრებების ჩატარების მხრივ, მაინც დაგვიანებით მოჰკიდა ამ საქმეს ხელი.

ფიზკულტურის ძირეული კოლექტივების საანგარიშო-საარჩევნო კრებების ჩატარების უკანასკნელი ვადაა 1 მარტი. დარჩენილი მცირე დრო მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ, რათა ორგანიზაციებში მაღალ დონეზე, სათანადო მომზადებით ჩატარდეს ეს მნიშვნელოვანი ღონისძიება.

ჭადრაკი

საქართველოს XIII ჩემპიონატი

ბრძოლა დაიწყო

დაიწყო საქართველოს უძლიერეს მოჭადრაკეთა ასპარეზობა, რომელმაც უნდა გამოავლინოს რესპუბლიკის პირველი მოჭადრაკე.

20 თებერვალს, მრავალრიცხოვან მაყურებელთა დასწრებით, თბილისის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში გაიხსნა რესპუბლიკის XIII საჭადრაკო ჩემპიონატი. ოსტატობის კანდიდატ ა. ფალავანდიშვილის (იგი ამ ტურნირში მთავარი არბიტრის როლში გვევლინება) მისასალმებელი სიტყვის შემდეგ გაიმართა კენჭისყრა.

შეჯიბრების მონაწილენი სატურნირო ცხრილში ასე განაწილდნენ: 1. რ. კაკიაშვილი (ტყვარჩელი), 2. ჰ. არნშტეინი, 3. ოსტატი ა. ებრალიძე, 4. გ. გამრეკელი, 5. ოსტატობის კანდიდატი ა. ბუსლაევი, 6. ოსტატობის კანდიდატი მ. შიშოვი, 7. ო. წოწოლაშვილი, 8. გ. გაჩეჩილაძე, 9. ოსტატობის კანდიდატი თ. გიორგაძე, 10. ოსტატობის კანდიდატი ვ. ქარსელაძე, 11. ო. ელიოზიშვილი, 12. ოსტატობის კანდიდატი ა. ბლაგიძე, 13. ოსტატობის კანდიდატი ბ. გურგენიძე, 14. ოსტატობის კანდიდატი ნ. სოროკინი, 15. ოსტატობის კანდიდატი ა. ფირცხალავა, 16. დ. ჩიკვაძე (ქუთაისი), 17. ნ. ტიმოფეევი.

21 თებერვალს გათამაშდა პირველი ტური. დარბაზში დიდძალი მაყურებელი ერთხანს „დაიბნა", — არ იცოდა, რომელი პარტიისათვის მიექცია ყურადღება — ყველა პარტია საინტერესოდ ვითარდებოდა.

ყურადღება გამოიწვია ახალგაზრდა ვ. ბურგენიძის შეხვედრამ თავის მასწავლებელთან შიშოვთან. მოწაფემ თავისებურად გაითამაშა დებიუტი და შევიწროებული მდგომარეობა მიიღო. შემდგომში ჯერ ერთი, მერე მეორე პაიკის შეწირვით მან ინიციატივა იგდო ხელთ და „დაბა" შიშოვის ფიგურები. შიშოვი იძულებული გახდა პაიკები დაებრუნებინა და მეტოქისათვის ყაიმი შეეთავაზა. 26-ე სვლაზე სადემონსტრაციო დაფაზე გამოკრულ იქნა „ყაიმი".

თბილისის ახალმა ჩემპიონმა ბუსლაევმა სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია საქართველოს გასული წლის ჩემპიონს სოროკინს. რომელმაც კომბინაციური შეტევით მოახერხა მეტოქის მეფის დაშამათება.

იბრალიძემ ჩიკვაძესთან პარტიაში თამაშის დინჯი მეთოდი აირჩია. ფიგურების კარგად განლაგების შემდეგ მან გაარღვია ლაზიერის ფლანგი და მალე კარგი „მოსავალიც" მოიმკა: ჯერ პაიკი, შემდეგ ფიგურა და ბოლოს პარტიაც.

ელიოზიშვილმა მოუგო გაჩეჩილაძეს. როგორც პარტიის ანალიზის დროს გამოირკვა, გაჩეჩილაძეს თავის დღეში არ უთამაშია მეფის გამბიტი და სწორედ ამიტომ ვერ გაერკვა ამ დებიუტის რთულ ვარიანტებში. ამ გაკვეთილის შემდეგ, იგი ალბათ კარგად შესწავლილ სადებიუტო სისტემას დაუბრუნდება, ხოლო პარალელურად მეფის გამბიტსაც შეისწავლის.

ფირცხალავა პოზიციური თამაშის მოყვარულია. ეს კარგად იცის გამრეკელმა და ამიტომ ცდილობდა იგი პარტიისათვის ტაქტიკური ბრძოლის ხასიათის მიცემას. ამან ვერ უშველა გამრეკელს, — ფირცხალავამ მოიგო პარტია.

დანარჩენი პარტიები გადაიდო. ამაღლებული პერიპეტიების შემდეგ ბლაგიძეს სასიამოვნო პოზიცია აქვს წოწოლაშვილთან; გიორგაძეს ქარსელაძესთან მძიმე მდგომარეობა აქვს; არნშტეინის (ტიმოფეევთან) მეფე ცენტრში „სეირნობს".

22 თებერვალს, II ტურში ერთმანეთს შეხვდნენ ჭადრაკის ვეტერანები—სოროკინი და შიშოვი. ესპანურ პარტიაში სოროკინი ფიქრობდა მოწინააღმდეგის წონასწორობიდან გამოყვანას და მიმაროა არც თუ ისე ცნობილ ვარიანტს. შიშოვი კარგად გაერკვა პოზიციაში და მყარი მდგომარეობა მიიღო. მიტელშპილში ხაუცხოო მანევრებით მან შეავიწროვა თეთრების ფიგურები, მოიგო ეტლი და 34-ე სვლაზე გაიმარჯვა.

ებრალიძემ ტიმოფეევთან მთელი პარტია მოდუნებულად ითამაშა. ეს არ ცდილობდა პოზიციის გამწვავებას, არ იბრძოდა კონტრთამაშისათვის. მან გვიან მოინდომა მოედანზე თამაში და გაუმართლებლად დააცილაზიერი საკუთარ მეფეს. ტიმოფეევმა ეტლის, ლაზიერისა და კუს სწრაფი გაოჯგუფებით შექმნა გარღვევი შამათის მუქარა. 27-ე სვლაზე ოსტატმა თარხმანი დაჰყარა.

გურგენიძემ მძიმე მდგომარეობაში კარგად ისარგებლა წოწოლაშვილის ცაიტნოტით. აქ მან წოწოლაშვილს დაუგო მახე, რომელშიც უკანასკნელი გაება და დაჰკარგა ლაზიერი ეტლში. პარტია გადაიდო.

საინტერესო თამაშის შემდეგ ყაიმით დამთავრდა ბლაგიძე-გაჩეჩილაძის, ფირცხალავა-ბუსლაევისა და ელიოზიშვილი-გიორგაძის შეხვედრები.

ორი პარტია გადაიდო. კაკიაშვილს არნშტეინთან ძალზე გაუჭირდება პარტიის გაყაიმება. მწვავე სიტუაციაა ჩიკვაძე-გამრეკელის პარტიაში.

თ. გიორგაძე,
ოსტატობის კანდიდატი.

ჯონ ლონდონი

ხორცის ნაჭერი

ერთხანს გარინდებული იჯდა ტომ კინგი, მერე წამოდგა.

— ეჰ, ასეა-და რას იზამ, რა გაეწყობა... მე დღეისათვის მზად არა ვარ, არა, ლიზ? — ტომმა ქუდი აიღო და კარისაკენ გაემართა. ცოლისათვის არ უკოცნია, — წასვლისას ჩვეულებად არ ჰქონდა ცოლისათვის ეკოცნა, — ამ სალამოს კი ლიზიმ გაბედა და აკოცა, ხელები განიერ კისერზე შემოაჭდო და აიძულა თავი დაეხარა სულ ახლოს მის სახესთან. ვეება მამაკაცის გვერდით კიდევ უფრო პატარა მოჩანდა ლიზი.

— გამარჯვებით იარე ტომ! უნდა დააგდო სენდელი, არა, ტომ? ხომ დააგდებ?

— ჰო, უნდა დავაგდო, — გაიმეორა ტომმა, მხოლოდ ამას უნდა ვეცადო, სწორედ რომ უნდა დავცე.

კინგმა სცადა გულით გაეცინა, მაგრამ არ გამოუვიდა, ცოლი უფრო მაგრად მიეკრა ქალის მხრებიდან ტომმა ცარიელი ოთახი მოათვალიერა. ეს იყო ყველაფერი, რაც მას გააჩნდა ამ ქვეყანაზე: ოთახი ვადაგასული ქირით, ცოლი და ორი პატარა. ის ტოვებდა ოჯახს დამით, უბრალო მუშასავით მანქანებთან კი არ მიდიოდა ფულის საშოვნელად; უძველესი, პირველყოფილი, ცხოველური გზით უნდა მოეპოვებინა იგი, უნდა ებრძოლა ლუკმა პურისათვის.

— უნდა დავაგდო, — გაიმეორა მან. ამჯერად მის ხმას მეტი სიცოცხლე დაეტყო, — თუ მოვიგე ოცდაათ გინეას მივიღებ, ვალებს გავისტუმრებთ და სახარჯოც დაგვრჩება... თუ წავაგე, არაფერს მივიღებ, ერთ პენსიაც არ მომცემენ, რომ შინ ტრამვაით დავბრუნდე. „გეიტი" კლუბის მდივანმა ხომ უკვე მომცა წაგებულის გასამრჯელო... აბა, წავედი, უკვე დროა, თუ გავიმარჯვე პირდაპირ შინ მოვალ.

— მაშ, გელოდები, ტომ! — გასძახა ცოლმა დერეფანში მიმავალ ქმარს.

მთელი ორი მილი იყო „გეიტი" კლუბამდის. გაახსენდა, რომ როცა ჯან-ლონით სავსე ახალგაზრდა იყო, ნიუ-საუთ-უელსის ჩემპიონი მძიმე წონაში, ხშირად ეტლით დაიარებოდა ხოლმე დანიშნულ ადგილას კრივში შესახვედრად. გაახსენდა, რომ ერთხელ ვიღაც მდიდარმა გულშემატკივარმა თვითონვე გადაიხადა ეტლის საფასური და მასთან ერთად იმგზავრა კიდეც... მაშინ ტომ ბერსი და ის ინჯი, ჯეკ ჯონსონიც უკან დაჭყვებოდნენ... ტომი მიაბიჯებდა! ვინ არ იცის, რომ კრივის დაწყების წინ ორი გრძელი მილის ფეხით გავლა საზიანოა. ესეც რომ არ იყოს, ტომი უკვე მოხუცდა, და ეს ქვეყანა ხომ მოხუცებს აბუჩად იგდებს... არაფერში აღარ ვარგოდა ტომ კინგი, შავ მუშად თუ გამოდგებოდა პორტში ან რკინიგზაზე, გატეხილი ცხვირი და დასიებული ყურები აქაც კი უშლიდა ხელს.

— ნეტავ რაიმე ხელობა მაინც მესწავლა, — უნებურად გაიფიქრა კინგმა, — ხომ გამომადგებოდა სიბერისას... მაგრამ, რომ არავინ ურჩია... და მას გულის სიღრმეში მტკიცედ სწამდა: კიდევაც რომ ერჩიათ ვერაფრით ვერ დაიყოლიებდნენ თავნება ყმაწვილს.

უდრტვინველად ცხოვრობდა ტომ კინგი. იოლი საქმე იყო: ჯიბეში გამოულეველი ფული, შეჯიბრებებში ბრწყინვალე გამარჯვებები, შეჯიბრებიდან შეჯიბრებამდე უქმად ყოფნა და ხეტიალი: ურიცხვი თაყვანისმცემელი, მეგობრულად მხარზე ხელის დარტყმა და გულთბილი მალოცვები, მდიდარი ფრანტების ყურადღებით გამოწვეული ზვიადობა, მოგუგუნე დარბაზი, თავგრუდამხვევი დასასრული, მსაჯის ძახილი „კინგმა მოიგო", და მეორე დღეს გაზეთების სპორტულ სვეტებში მისი სახელი.

ნეტავი იმ დროს! მძიმე ნაბიჯით მიჰყვებოდა ქუჩას ტომ კინგი. ფიქრებში წასულს უეცრად გაახსენდა, რომ წინათ მის წინააღმდეგ ყოველთვის მასზე უფროსები გამოჰყავდათ. ტომი ხომ სისხლჭარბი აღმავალი სიჭაბუკე იყო, ისინი კი — სისხლნაკლული, დაღმავალი ხნოვანება. არაფერია გასაკვირი, რომ ტომი მათ ადვილად ამარცხებდა. ისინი, დაბერილი ძარღვებით, დაბეგვილი სახსრებით, დიდიხნის ბრძოლით დაუძლურებული ძვლებით და კუნთებით, მალე ეცემოდნენ... ისიც გაახსენდა, რომ ერთხელ რაშ-ქატერს-ბეიში კრივში შეხვედრისას მოხუცი სტოუშერ ბილი დაამარცხა. მეთვრამეტე რაუნდში მოუღო მას ბოლო კინგმა, ბილი ბავშვივით ატირდა გასახდელ ოთახში. იქნებ, მაშინ მოხუც ბილის ოთახის ქირასაც ვადა ჰქონდა გასული, იქნებ სახლში მასაც ცოლი და წყვილი პატარა ელოდებოდა. იქნებ, ...იქნებ სწორედ ამ დღეს ბილს ერთი ლუკმა ხორცი ენატრებოდა. მაინც გაუძლო მოხუცმა თვრამეტ რაუნდს, საშინლად კი დაშავდა... ახლა, როცა თვითონ გამოცადა ყველაფერი, ტომი მიხვდა, რომ იმ ღამეს, ოცი წლის წინათ, სტოუშერ ბილი უფრო მნიშვნელოვან, უფრო დიდ რამისათვის იბრძოდა, ვიდრე ახალგაზრდა კინგი. საკვირველია განა, რომ მოხუცი ბილი ბოლოს მწარედ ატირდა გასახდელ ოთახში?

სხვა რომ არაფერი, კინგს ამდენი ბრძოლის ქარტეხილი გადაეტანა. ყველას არ შეუძლია გაუძლოს ცხარე შეხვედრებს: ზოგი ას ბრძოლას უძლებს, ზოგი — ოცს. ეს მათ ამტანიანობასა და მუშტის სიძლიერეზეა დამოკიდებული. ბრძოლების განსაზღვრული რაოდენობის შემდეგ მოკრივე უძლურდება და მწყობრიდან გამოდის.

დიახ, ბევრ მათგანთან შედარებით ტომ კინგს დიდი უნარი შერჩა. რა გაუძლებდა გამძაფრებულ, ულმობელ ბრძოლებს, რომელიც ფულისა და ფილტვების გახეთქას ლამობდა, არტერიებს სასიცოცხლო ძალას სწოვდა; ნორჩ გლუვ კანის ქვეშ კუნთების გამაგრებულ ბორცვებსა ქსოვდა, ნერვებსა და სიცოცხლეს ცვეთდა, ტვინსა და ძვლებს ლრღნიდა, ადამიანის შეუდრეკელ ამტანიანობას ძირს უთხრიდა, — მან კი გაუძლო!

დიახ, ტომ კინგი ყველა მათგანზე ამტანი გამოდგა. ძველი თაობიდან არავინ გადარჩენილა, ის იყო უკანასკნელი, ის მათ დაღუპვას მოესწრო და ზოგიერთი მათგანის განადგურებაში ხელიც ჰქონდა გარეული.

წინათ მას ხნიერ მოკრივეებს ახვედრებდნენ და ისიც ერთიმეორეზე ამარცხებდა მათ, და ხარხარებდა, როცა მოხუცი სტოუშერ ბილის მსგავსად, ისინიც ატირდებოდნენ ხოლმე გასახდელ ოთახში. ახლა კი თვითონ მოხუცდა ტომი და მის წინააღმდეგ ჭაბუკები გამოჰყავდათ. დღეს მას ახალგაზრდა სენდელს ახვედრებდნენ, ახალი ზელანდიის ჩემპიონს. ავსტრალიაში მას არავინ იცნობდა, ამიტომაც იყო, რომ მას შედარებით სუსტი ტომ კინგი უნდა შეხვედროდა. თუ სენდელი თავს გამოიჩენდა, მის წინააღმდეგ უკეთეს მოკრივეს გამოიყვანდნენ და უფრო დიდ თანხასაც შესთავაზებდნენ. ამ ბრძოლის მოგებით სენდელი ბევრ რამეს იგებდა: ფულს, დიდებას, კარიერას... ტომ კინგი კი ჭაღარა, დროის ქარიშხლით ტოტებდალეწილი, სენდელსა და მის ბედნიერებას შუა ჩამდგარიყო, ბზად ელობებოდა სახელმოწყურებული ჭაბუკის დიდებას. თუ გაიმარჯვებდა ბევრი ბევრი ოცდაათი გინეა მოეგო, რომლითაც სახლის პატრონისა და მედუქნის ვალს გაისტუმრებდა.

კინგის გახელებულ ხსოვნას კვლავ სიჭაბუკე წარმოუდგა. დიდებით მოსილი სიჭაბუკე, აღვირახსნილი, მოზეიმე, დაუძლეველი, მოქნილი კუნთებითა და ნორჩი, [illegible] ლი გულ[illegible] ვებით [illegible]. [illegible] ლიც იცინის ძალის დაზოგვის გაგონებაზე. შურისმგებელი ნემეზიდას ჰგავს სიჭაბუკე, იგი უდრტვინველად იშორებს გზიდან მეტოქეებს და მიაბიჯებს. არაფრად უჩანს სხვისი დამსხვრევა, მაგრამ თვითონვე იმსხვრევა მათთან ბრძოლაში. არტერიებს იგანივრებს და სახსრებს იმტვრევს, ახალგაზრდობა მასაც ღუპავს და ანადგურებს. ასეა, ასე, სიჭაბუკე მარადია, ყოველთვის ნორჩი და აღმავალი, მხოლოდ ხანია რომ ბერდება და დაღმა მიდის.

კესტლერი სტრიტთან ტომმა მარცხნივ შეუხვია, სამი კვარტალი გაიარა და კლუბთან გაჩნდა. გარედან ალაყაფის კარებზე ბიჭუკები ეკიდნენ, დაინახეს თუ არა ტომ კინგი, ჩამოხტნენ და მოწიწებით დაუთმეს გზა. ტომმა ყური მოჰკრა, როგორ წასჩურჩულა ერთმა იქვე მდგომ ამხანაგს: „ტომ კინგი, ტომ კინგი!".

შიგნით, გასახდელი ოთახის კარებთან იგი კლუბის მდივანს შეეჯახა, ცბიერთვალება, პირხმელმა ახალგაზრდამ ხელი გაუწოდა და მოიკითხა.

— თავს როგორ გგრძნობთ, ტომ? — ალმაცერად გახედა მდივანმა და ჩაახველა.

— ჩინებულად!, — უპასუხა კინგმა, თუმც კარგად იცოდა, რომ ტყუოდა და ერთი გინეაც რომ ჰქონოდა, მაშინვე ხორცის პატარა ნაჭერში მისცემდა.

როგორც იქნა გამოვიდა გასახდელი ოთახიდან, რიგებს შორის გასასვლელით დაეშვა ოთხკუთხა ბაქანისაკენ, რომელიც დარბაზის შუაგულში იყო გამართული. აქეთ-იქით სეკუნდანტები მოჰყვებოდნენ. მოლოდინით დაღლილი ხალხი ერთი ღრიანცელითა და ტაშისცემით შეეგება. ისიც ესალმებოდა მათ მარჯვნივ და მარცხნივ, თუმც ამ ბრბოში თითო-ოროლა ნაცნობ სახეს თუ ამჩნევდა. მაყურებელთა უმრავლესობა ალბათ დაბადებულიც არ იყო, ტომ კინგი რომ პირველად იხვეჭდა სახელს ოთხკუთხა რინგზე.

ნახატი გ. ჯაფარიძისა

ტომი მსუბუქად ახტა ამაღლებულ ბაქანზე, თოკებს შუა გაძვრა და თავის კუთხეში სკამზე ჩამოჯდა. მსაჯი მიუახლოვდა და გამოეცნაურა. ჯეკ ბოლი მწყობრიდან გამოსული მოკრივე იყო, ათზე მეტი წელი რინგს არ მ-ჭკარებოდა როგორც მოკრივე, დღეს ის მსაჯად დაენიშნათ. კიბეამ მისი შეხვედრა, ისინი ხომ ძველი ნაცნობები იყვნენ. თუ კინგი უხეშად მოექცეოდა სენდელს ან კრივის წესს დარღვევდა, იმედი ჰქონდა ბოლი ამას აპატიებდა, თავს მოიკატუნებდა, თითქოს ვერ შეამჩნიაო.

გალაღებული ჭაბუკები ერთ მეორეზე ამოდიოდნენ რინგზე, მსაჯი მათ ხალხს აცნობდა და მათი სახელით გამოწვევებს ახახელებდა.

— ჭაბუკი ჯონტო, — გამოაცხადა ბოლმა, — ჩრდილოეთ სიდნეიდან, სცენს ორმოცდაათ გირვანქა სტერლინგს.

თარგმანი ინგლისურიდან
ლამარა ბოკერიასი
(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. იხ. გაზეთი „ლელო" № 15.

რაიონულ პირველობაზე

აბაშა. ჩატარდა რაიონის პირველობა ჭადრაკში, რომელშიც მონაწილეობდნენ „ისკრის", „კოლმეურნის" და საშუალო სკოლების მოჭადრაკეები.

ვ. ბუხაიძე

„ენერგიის" მოჭადრაკეები

დამთავრდა ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოება „ენერგიის" თბილისის საქალაქო პირველობა ჭადრაკში. ტურნირში პირველი ადგილი დაიკავა ვ. ლეკოშვილმა („ქენერგო"), რომელმაც 12½ ქულა მოაგროვა 13 შესაძლებლიდან.

მ. ტაბატაძე

ეტიუდი № 15

რ. დადუნაშვილი
(სოფ. ინაშაური, ვანის რაიონი)



თეთრები იწყებენ და აკეთებენ ყაიმს.

გ უ ნ დ უ რ ი ზ უ რ ნ ი რ ი

ზიათურა. სპორტსაზოგადოება „მეტალურგის" საქალაქო გუნდურ პირველობაში მონაწილეობა მიიღო მარგანეცის ტრესტის ქარხანა-მადაროთა სამმართველოს მოჭადრაკეთა 10 კოლექტივმა. გაიმარჯვა კაგანოვიჩის სახელობის ქარხანა-მადაროთა სამმართველოს გუნდმა.

შ. კალატოზი

ნ. დუმბაძის ნიგნის კითხვა-განხილვა

ბათუმი. (ჩვენი საკ. კორ.). ამას წინათ კომკავშირის საქალაქო კომიტეტმა ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტთან ერთად „დინამოს" დარბაზში მოაწყო ნ. დუმბაძის წიგნის „გზა რეკორდისაკენ" საჯარო კითხვა-განხილვა. წიგნმა დამსწრეთა საერთო ინტერესი გამოიწვია.



★

სუხუმის მიდამოებში მოეწყო მოტოკროსი 50 კილომეტრზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სპორტსაზოგადოება „ისკრის“ მოტომარბიელებმა. სურათზე: მოტომარბიელები დისტანციაზე.

ფოტო ს. კოროტკოვისა

★

მოჭადრაკეები გამოდიან შემოქმედებითი ანგარიშით

სსრ კავშირის ყოველ საჭადრაკო ჩემპიონატს წინ უსწრებს მეოთხედფინალური და ნახევარფინალური შეჯიბრებები. 1952 წლის საკავშირო პირველობის მეოთხედფინალურ ტურნირებში, რომლებიც გასული წლის დამლევს ჩატარდა, მონაწილეობა მიიღო ჩვენი რესპუბლიკის ოთხმა მოჭადრაკემ. ესენი იყვნენ ოსტატობის კანდიდატები ნ. სოროკინი, ა. ბლაგიძე, ა. ბუსლაევი და ბ. გურგენიძე.

ნ. სოროკინმა, რომელიც მონაწილეობდა მეოთხედფინალის კიევის ჯგუფში, დაიკავა XI ადგილი (6½ ქულა 15 შესაძლებლიდან); ა. ბლაგიძემ (ლენინგრადის ჯგუფი)—VIII-IX ადგილი 8½ ქულით; ა. ბუსლაევმა (ლენინგრადის ჯგუფი)—XV ადგილი 4½ ქულით; ბ. გურგენიძემ (მოსკოვის ჯგუფი)—IX ადგილი 7½ ქულით.

ნახევარფინალში მონაწილეობის უფლება ენიჭებოდათ ტურნირში პირველ ხუთ ადგილზე გასულთ.

ტურნირების დამთავრების შემდეგ, თანახმად საქართველოს საჭადრაკო სექციის დადგენილებისა, სოროკინი, ბუსლაევი და გურგენიძე თბილისის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში თავისი შემოქმედებითი ანგარიშით გამოვიდნენ.

საინტერესო შემოქმედებითი ანგარიში გააკეთა ბ. გურგენიძემ. ნიჰეერი მოჭადრაკის გამოსვლა თვითკრიტიკით იყო გამსჭვალული. მან აღნიშნა, რომ ტურნირის პირველ ტურებში 7 შესაძლებლიდან 4 ქულა მოაგროვა, ხოლო მეორე ნახევარში—მხოლოდ 3½; თუმცა,—როგორც გურგენიძემ თქვა, — შეიძლებოდა მეტის დაგროვება.

ტურნირის მეორე ნახევარში სუსტი შედეგი გურგენიძემ თეორიის, განსაკუთრებით სადებიუტო თეორიის, უცოდინარობით ახსნა.

ახალგაზრდა მოჭადრაკემ აღნიშნა, რომ იგი გულმოდგინედ შეუდგა საჭადრაკო კულტურისა და, განსაკუთრებით, თეორიის დაუფლებას, საბჭოთა ოსტატების პარტიების შესწავლას, სადებიუტო რეპერტუარის გაფართოებას და, საერთოდ, თავის ნაკლოვანებათა დაძლევას.

საქართველოს მოჭადრაკეებმა მეოთხედფინალურ ტურნირებში ძალზე დაბალი შედეგები მოიპოვეს. ამის მიზეზია ჩვენი მოჭადრაკეების უგეგმო, არარეგულარული მუშაობა და არასაკმაო მონდომება საკუთარი ცოდნის გამდიდრებასა და გაფართოებაზე.

დროა, რესპუბლიკის მოჭადრაკეებმა სერიოზულად გარდაქმნან თავიანთი მუშაობა, რათა ახლო მომავალში შეძლონ საკავშირო პირველობის ნახევარფინალურ და ფინალურ შეჯიბრებებში მონაწილეობა.

ახალ სოფელში

ის ადგილი, სადაც მარნეულის რაიონის სოფ. სარვანა არის გაშენებული, ერთი წლის წინათ ტრაილ მინდორს წარმოადგენდა. აშკარად, ახლადდასახლებულ სოფელში ნაყოფიერ შრომასთან ერთად ფართოდაა გაშლილი ფიზკულტურული საქმიანობაც. ჩამოყალიბებულია მძლეოსნობის, ფეხბურთის, ფრენბურთისა და ჭადრაკის სექციები, სადაც სისტემატურ წვრთნას გადიან ახალი სოფლის ახალგაზრდები.

სოფ. სარვანის ფიზკულტურელებს აქვთ საზამთრო დარბაზი, რომელიც უზრუნველყოფილია საჭირო ინვენტარით. სოფლის ახალგაზრდობა ხშირად აწყობს შეჯიბრებებს მძლეოსნობაში, ჭიდაობაში, ჭადრაკში და სხვ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 31-ე წლისთავთან დაკავშირებით განზრახულია სათხილამურო კროსის ჩატარება.

ჩ. მეტრეველი

მარნეულის რაიონი.

უცხოეთში

ფეხბურთის მოედნებზე

გრძელდება საფრანგეთის, ინგლისისა და იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატები.

იტალიის პირველობაში ლიდერობს „იუვენტუსი“. „ინტერნაციონალესთან“ გამარჯვების (3:2) შემდეგ ლიდერს აქვს 28 ქულა. მეორე ადგილზეა „მილანი“ — 24 ქულა. მას მიყვება „ინტერნაციონალე“ (21).

ინგლისის ჩემპიონატში წინ არის „პორტსმუტი“, რომელსაც 54 შესაძლებლიდან მოგროვილი აქვს 37 ქულა. მეორე ადგილზეა „მანჩესტერ იუნაიტედი“ (35), შემდეგ—„არსენალი“.

საფრანგეთის პირველობის გათამაშებაში 31 ქულით პირველ ადგილზეა ჰავრი. მას ერთი ქულით ჩამორჩება ნიცა. მესამე ადგილზეა „ლილი“ (28).

მ. სპოკენის ნარმატება

ტრონდჰეიმში გამართულ სათხილამურო შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო ცნობილმა მძლეოსანმა, ნორვეგიის რეკორდსმენმა 5 და 10 კილომეტრზე რბენაში, მარტინ სტოკენმა. აქ მან 18 კილომეტრზე თხილამურებით რბოლაში პირველი და მეორე ადგილები დაუთმო მხოლოდ ნორვეგიის უძლიერეს მოთხილამურეებს ლანდსენსა და ესტენსტადტს, რომელთაც უჩვენეს 1.15:43 და 1.16:46.

სამაგიეროდ, ჭ. რინდალში გამართულ შეჯიბრებაში ამავე დისტანციაზე სტოკენმა პირველი ადგილი მოიპოვა — 1.10:50. დამარცხებულმა ესტენსტადტმა უჩვენა 1.12:21.

აასმა აჯობა ანდერსენს

მსოფლიოს ჩემპიონმა იალმარ ანდერსენმა (ნორვეგია) ოსლოში დამარცხება განიცადა 3.000 მეტრზე ციგურებით რბენაში. საუკეთესო შედეგი ამ დისტანციაზე უჩვენა მისმა თანამემამულემ როალდ აასმა — 5:01,5. ანდერსენის დროა 5:02,0.

ოთხი დისტანციის ჯამში ანდერსენმა 196,043 ქულა მოაგროვა და პირველი ადგილი დაიკავა.

ზამთრის ოლიმპიური თამაშები

ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში გრძელდება ზამთრის VI ოლიმპიური თამაშები.

5.000 მეტრზე ციგურებით ჩქაროსნულ რბენაში ახალი ოლიმპიური რეკორდი დაამყარა ცნობილმა ნორვეგიელმა მოციგურემ იალმარ ანდერსენმა, რომელმაც უჩვენა 8:10,6. მეორე ადგილი დაიკავა ბრეკმანმა (ჰოლანდია) — 8:12,6, მესამე—ხაუგლიმ (ნორვეგია)—8:22,4.

შეჯიბრება სწრაფდაშვებაში ქალთათვის მოეწყო 1.500 მ. სიგრძის ტრასაზე (სიმაღლეთა სხვაობა სტარტსა და ფინიშს შორის 300 მ.). ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის წოდება მოიპოვა იოხუმ-ბეზურმა (ავსტრია)—1:47,1. მეორე ადგილი დაიკავა ა. ბიჰუნერმა (დასავლეთ გერმანია) — —1:48,3. მესამე ადგილი ერგო მინუზოს (იტალია)—1:49,4.

გიგანტურ სლალომში ქალთათვის (ტრასის სიგრძე 1.200 მ., სიმაღლეთა სხვაობა სტარტსა და ფინიშს შორის 400 მ., 59 კარი) უძლიერესი აღმოჩნდა ე. ლოურენს მიდი (აშშ)—2:06,8. მეორე ადგილი დაიკავა დ. რომმა (ავსტრია) — 2:09,0.

ციგურებით 1.500 მეტრზე რბენაში საუკეთესო დრო უჩვენეს იალმარ ანდერსენმა (ნორვეგია)—2:20,4; ვან დერ ვოორტმა (ჰოლანდია) — 2:20,6 და ოსმა (ნორვეგია)—2:21,6. სამთო ორჭიდში (ტრამპლინიდან ხტომა და 18 კილომეტრზე თხილამურებით რბენა) ყველაზე უკეთესი შედეგები ჰქონდათ შლუტვიკს (ნორვეგია), ხასუს (ფინეთი), სტენერსენს (ნორვეგია), კორონენს (ფინეთი), იელტენს (ნორვეგია), იერმუნდსხაუგს (ნორვეგია)

ციგურებით 10 ათას მეტრზე რბენაში ყველას აჯობა იალმარ ანდერსენმა, რომელმაც აჩვენა 16:45,8, რითაც დაამყარა ახალი ოლიმპიური რეკორდი. მეორე ადგილი დაიკავა ჰოლანდიელმა ბრეკმანმა—17:10,6, მესამე ასპლუნდმა (შვეიცია)— 17:16,6.

შეხვედრები შაიბიან ჰოკეიში დამთავრდა შემდეგი შედეგებით: ჩეხოსლოვაკია — დასავლეთ გერმანია 6:1, შვეიცარია — ინგლისი 5:3, კანადა —ფინეთი 13:0, შვეიცარია—ნორვეგია 7:2, შვეცია—დასავლეთ გერმანია 7:3, კანადა — პოლონეთი 11:0, აშშ —ფინეთი 8:2, კანადა — ჩეხოსლოვაკია 4:1, აშშ—შვეიცარია 8:2, პოლონეთი — დასავლეთ გერმანია 4:4, ფინეთი—ნორვეგია 5:2, შვეცია — აშშ 4:2.

20 თებერვალს, პროგრამის გარეშე, როგორც საჩვენებელი თამაში, გაიმართა ფინეთისა და ნორვეგიის შეხვედრა რუსულ ჰოკეიში. გაიმარჯვეს ფინელებმა ანგარიშით 3:2.

50 კილომეტრზე თხილამურებით რბენაში საუკეთესო შედეგები უჩვენეს: ხაკულინენმა (ფინეთი)—3.33:33, კოლემაინენმა (ფინეთი) — 3.38:11, ესტენსტადმა (ნორვეგია) — 3.38:28, ეკერნმა (ნორვეგია) — 3.38:45.

სლალომისტ ქალთა შეჯიბრებაში პირველ ადგილზე გამოვიდა ლოურენსი (აშშ)—2:10,6. მეორე ადგილი აიღო რეიჰერტმა (დასავლეთ გერმანია) — 2:11,4, მესამე — ბუჰმერმა (დასავლეთ გერმანია) — 2:13,3, მეოთხე — სეგიმ (იტალია)—2:13,8.

ქალთათვის ციგურებით ფიგურული სრიალის დასკვნითი ტურის შემდეგ 21 თებერვალს გამოცხადდა ამ სახეში შეჯიბრების საბოლოო შედეგები. პირველ ადგილზეა ალტვეგი (ინგლისი), რომელმაც მოაგროვა 161,765 ქულა შემდეგ ადგილებზე არიან ოლბრაიტი (აშშ) — 149,133, დიუბიეფი (საფრანგეთი)—158,000, კლოპფერი (აშშ) — 154,633, ბაკსტერი (აშშ) — 152,211, მოროუ (კანადა)—149,333.

21 თებერვლისათვის შეჯიბრების ყველა სახეში (ჰოკეის გამოკლებით) გუნდებს მოგროვილი აქვთ ქულების შემდეგი რაოდენობა: ნორვეგია—83, აშშ—47,5, ავსტრია — 45, ფინეთი—38, დასავლეთ გერმანია—25, ჰოლანდია — 24, იტალია — 20, შვეიცარია —14, შვეცია — 12,5, ინგლისი — 7, საფრანგეთი — 7, კანადა—1, ბელგია —1, იაპონია — 0,5.

მძლეოსნურ ბილიკებზე

1951 წლის სეზონის საუკეთესო შედეგი მარათონულ რბენაში ეკუთვნის იაპონელ შიგეში ტანკას — 2.27:45. ევროპაში ყველაზე სწრაფად დაფარა მარათონული დისტანცია ფინელმა მორბენალმა ვ. კარკონენმა (2.28:07).

• • •

შარტრში გამართულ საერთაშორისო კროსში 9 კილომეტრზე ცხარე ბრძოლა გაიმართა ბელგიელ ვან — ვატენს და ფრანგ ვ. მიმუნს შორის. გამარჯვება წილად ხვდა საფრანგეთის პოპულარულ სტაიერს, რომელსაც ჰქონდა 30:24,0. ბელგიელის შედეგია — 30:24,3.

• • •

10-კილომეტრიან კროსში (მოეწყო საფრანგეთში) გამარჯვება მოიპოვა ვ. მიმუნმა — 35:53,2; მეორე ადგილი ერგო დრისს (36:41,0), მესამე — პეტიტჟანს (36:49).

რამდენიმე სწრაფქონით

ვალეტა (მალტა). შვეიცის ფეხბურთელთა გუნდმა „ხაისმა“ ცხარე ბრძოლის შემდეგ დაამარცხა მალტის ნაკრები ანგარიშით 4:3.

ხამარი. ახალგაზრდა მოციგურეელვენესმა 1.500 მ. რბენაში უჩვენა 2.22,0, რაც წარმოადგენს ნორვეგიის რეკორდს ჭაბუკთა შორის. მანვე გაიმარჯვა 500 მ. რბენაში—43,9.

ოსლო. ხალანდის (შვეცია) და ოსლოს (ნორვეგია) მოჭიდავეთა გუნდების საერთაშორისო მატჩი დამთავრდა ფრედ—16:16.

რომი. აქ გაიმართა საფეხბურთო მატჩი „რივერ პლატას“ (არგენტინა) და იტალიის ჩემპიონატის ლიდერს („ბ“ კლასში) „რომას“ შორის. შეხვედრა დამთავრდა ფრედ—1:1.

ნეაპოლი. არგენტინის ფეხბურთელთა გუნდმა „რივერ პლატამ“ ანგარიშით 2:1 დაამარცხა ადგილობრივი კლუბი „ნეაპოლი“.

სტოკჰოლმი. შვეციის უძლიერეს მოციგურეთა შეჯიბრებაზე ს. ერქსონმა 1.500 მეტრზე რბენაში უჩვენა 2:23,5.

რედაქტორი მ. კაკაბაძე

გრძელდება ხელის მოწერა გაზეთ

ლელო-ზე

ხელის მოწერის ფასი:
3 თვით— 7 მან. 60 კაპ.
6 თვით—15 მან. 60 კაპ.

სტარტზეა 8 წლის ლიანა

მესტარტემ წითელი ალმით სიგნალი მისცა ფინიშზე მყოფ მსაჯებს. „ქვეითურებმა“ მოამზადეს წამომზომები და მზადყოფნა ანიშნეს.

მესტარტემ მკვეთრად დაქნია ალმი.

მყისვე მოთხილამურე მოწყდა ადგილს და სწრაფად დაეშვა თავქვე. აი, პირველი წინაღობა — კარი. მოთხილამურემ სხარტად გაიარა იგი, მარჯვედ მოუხვია მარჯვნივ და კიდევ უფრო მოუმატა სისწრაფეს.

მაყურებლები კარგა ხანს გაოცებულნი უყურებდნენ თხილამურებზე მდგომს — წინაღობათა აღმნიშვნელ დროშებს შუა სწრაფად მქროლავ მკირე ტანის სპორტსმენს, რომელიც დროდადრო სრულად იკარგებოდა ლრმა თოვლიან ბორცვებში.

როცა სლალომისტი ტრასის მეორე ნახევარზე ჩამოსრიალდა, აქ, სადაც მაყურებლები იდგნენ, ყველას გაოცება აღმოხდა — თხილამურებზე იდგა პატარა ბავშვი. თოვლის ნამქერს მთლიანად დაეფარა მისი სახე, მხოლოდ შავი, დიდრონი თვალები ელვადნენ აბზნებული ცეცხლით და წინ, ფინიშისაკენ იცქირებოდნენ.

გასაოცარი სიმსუბუქით გაიარა მოთხილამურემ უკანასკნელი წინაღობები, ზედ ფინიშის ხაზთან მკვეთრი ბრუნით დაამუხრუჭა სვლა და ნელა ჩამოიწმინდა მომღიმარ სახეზე თოვლი.

მაყურებლები სწრაფად გამოეშურნენ ფინიშისკენ, რომ ენახათ ვინ იყო ეს პატარა. მსაჯებმა გამოაცხადეს: „კოლმეურნის“ შეჯიბრებაში კონკურსს გარეშე მონაწილე, ბაკურიანის საშუალო სკოლის მე-2 კლასის მოსწავლემ, 8 წლის ლიანა გოგოლაძემ სლალომის ტრასა გაიარა 45,0 წამში.

ეს საკავშირო სპორტული კლასიფიკაციის III თანრიგის შედეგია.

სასიხარულო ფაქტია: 8 წლის გოგონამ აჩვენა მოზრდილთა III თანრიგის შედეგი.

ლიანა კარგი ხანია დადის თხილამურებზე. მისი უფროსი ძმები მოთხილამურეები არიან და გულმოდგინედ ასწავლიან პატარა ლიანას დაქანებულ ფერდობებზე რბოლას. ყოველდღე, გაკვეთილების შემდეგ, ლიანა დგება თხილამურებზე და თავდაჟეკვებით, გატაკებით ვარჯიშობს. უკვე ახლა, ასეთ ასაკში, იგი საკმაოდ კარგადაა დაუფლებული სლალომის რთულ ტექნიკას.

ვინ იცის, გაიკლის წლები და ლიანა გოგოლაძე ჩემპიონის საპატიო მაისურს მოიპოვებს...

სურათზე: ლიანა გოგოლაძე სლალომის ტრასაზე.

ტექსტი **ბ. ჭორჭიასი.**

ფოტო **მ. ზარგარიანისა.**

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12; დეპეშებისათვის: თბილისი „ლელო“. ტელეფონი 3-90-34.

ლ. ჰ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

УЗ 00144